

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №15**

ქ. თბილისი

15.09.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;**

**ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;**

**თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი;**

**ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;**

**რამაზ ჭილაძა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;**

**ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;**

**ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;**

**ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;**

**ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.**

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**მაია ამირგულაშვილი - ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროფესორი;**

**ზურაბ კვენეტაძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;**

**თამარ კაჭარავა - სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;**

**მანანა დოლიძე - სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის პროგრამის პროფესორი;**

**მარიამ ხომასურიძე - აგრარული მეცნიერების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;**

**ნინო ლომაძე - აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.**

6.1v6

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- გიორგი გვალია
- ნინო ხარხელაური
- დავით ჩიჩუა
- ქეთევან კინწურაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:10 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>27</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათელა სახოვიამ. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს ლევან გორდეზიანს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>27</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების<sup>27</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრანსლიაციური ბიომედიცინის (მიმართულება „ჰემატოლოგია“) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებობისა და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

აკრედიტაციის სამართველოს უფროსს მაია გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვა მომზღვიულ მომდევნო სხდომაზე, ვინაიდან საბჭოს სამ წევრს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა აცილება. შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

5. 156

სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრანსლიაციური ბიომედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვისას საბჭოს სხდომაზე არ იქნებოდა კვორუმისათვის საჭირო წევრების რაოდენობა. აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა საბჭოს ასევე მოახსენა, რომ საქათველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის განხილვა მომხდარიყო პირველ საკითხად. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
  2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
  3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნახეობისა და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამუზეუმო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა. საბჭომ წამომდიდრებული დღის წესრიგი ერთხმად დაამტკიცა.

6-108

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ ინფორმაციას ხარვეზების გამოსწორების შესახებ. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა და დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის შედეგები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა გიორგი გვალიამ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ იგი გაეცნო ცვლილებებს, რომელიც განხორციელებულ იქნა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული, თუმცა ლიტერატურის ნაწილში განხორციელებული განახლება ეხებოდა მხოლოდ დამხმარე ლიტერატურას, როდესაც რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ განახლებას საჭიროებდა ლიტერატურა სავალდებულო ნაწილშიც. დამხმარე ლიტერატურა გახლდათ მეორადი დანიშნულების, შესაბამისად მას აინტერესებდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, თუ რატომ იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის მიერ იქნა ასახული დასკვნაში, თუმცა ლიტერატურის ნაწილში ახალი სახელმძღვანელოებით განახლდა მხოლოდ დამხმარე ლიტერატურა, ვინაიდან 2018 წლის თებერვალში უნივერსიტეტი გეგმავდა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენას მოდიფიცირებული სახით. სამაგისტრო პროგრამის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ პროგრამაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა, შეძენილ იქნა ახალი სახელმძღვანელოები, რომელიც ასახული იქნებოდა განახლებულ პროგრამაში. ახალი ლიტერატურა, რომელიც უნდა მოხვედრილიყო ძირითად ლიტერატურაში უნივერსიტეტს გამოწერილი ჰქონდა, თუმცა თუ მას არ ჰქონდა მინიჭებული ნომერი ბიბლიოთეკაში იზღუდებოდა მისი ძირითადი ლიტერატურის ნუსხაში ჩადება. მხოლოდ მას შემდეგ რაც ლიტერატურა დაჯდებოდა ბიბლიოთეკის ბალანსზე და მიენიჭებოდა შესაბამისი კოდი შესაძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება ძირითად ლიტერატურად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გამოწერილი ლიტერატურა შესაძლებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო სამომავლოდ, რაც არსებულ სიტუაციას არ ცვლიდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსებში ჩადებულ ლიტერატურას მინიჭებული ჰქონდა კოდები და მითითებული იყო გვერდები და სტატუსი თუ რა ნიშნით იყო გათვალისწინებული, აღნიშნული წესი გათვალისწინებული იყო საუნივერსიტეტო გათვალისწინებული, აღნიშნული წესი გათვალისწინებული იყო სამაგისტრო პროგრამის რეგულაციით, თუმცა ყველა ლექტორი, რომელიც ჩართული იყო სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში აწვდიდა სტუდენტს ყველა სავალდებულო ლიტერატურას და მასალას ქართულ და უცხოურ ენაზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა გათვალისწინებული იყო თუ არა რეკომენდაცია უცხო ენების სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით და თუ გათვალისწინებული იყო როგორი სახითა და მეთოდით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხო ენის სწავლების გაძლიერება ძირითადად გამომდინარეობდა სტუდენტების მოთხოვნიდან გაზრდილი ყოფილიყო საათების ან კრედიტების რაოდენობა. აღნიშნულ ეტაპზე უცხო ენის კომპონენტი წარმოდგენილი იყო იგივე საათების რაოდენობით მოქმედ პროგრამაში, ხოლო ახალ პროგრამაში გათვალისწინებული იყო უცხო ენის კომპონენტის გაზრდა საათების და კრედიტების მიხედვით.

თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით თუ იყო მიღებული შესაბამისი ზომები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცენტრში გადმოგზავნილი იყო სამ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, ერთ - ერთი უნივერსიტეტის პროფესურა უკვე ორჯერ იყო მოწვეული საჯარო ლექციის ჩასატარებლად, ასევე ფაკულტეტის ოთხი სტუდენტი მივლინებულ იქნა გერმანიაში.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა თუ რა იყო 2018 წელს განახლებული პროგრამის ხელახალ აკრედიტაციაზე შემოტანის მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანამედროვე მოთხოვნებიდან და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ პროგრამას განეცადა ცვლილება, სასურველი იქნებოდა სამაგისტრო საფეხურზე რამდენიმე კურსი განხორციელებულიყო უცხო ენაზე, თუმცა სამაგისტრო საფეხური არ ითვალისწინებდა უცხო ენის სწავლებას ვინაიდან მაგისტრანტს უნდა სცოდნოდა უცხო ენა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო დაწესებულების სურვილი ხელახლა გაევლო აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაცია ან შესაძლებელი იყო საბჭოს არ მიეცა აღნიშნულ ეტაპზე პროგრამისათვის აკრედიტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება და ხელახალი აკრედიტაციის გავლა გახლდათ მათი სურვილი.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა მოქმედ პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე სწავლობდა 26 მაგისტრი, მიმდინარე წელს არ ჩატარებულა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა და არ მიუღიათ ახალი სტუდენტები.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა ლიტერატურის დამატება მხოლოდ დამატებით ლიტერატურაში ცვლიდა თუ არა სილაბუსის შინაარსს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სილაბუსები არ შეცვლილა, ხოლო ერთადერთი შინაარსობრივი რეკომენდაცია, რაც მონიტორინგის ჯგუფს ჰქონდა ეხებოდა უშუალოდ ლიტერატურის ნაწილს, როგორც ინსტრუმენტს გარკვეული შედეგების მისაღებად. აუცილებელი არ იყო სილაბუსების თემატიკის შეცვლა. არამედ არსებული თემატიკის გამრავალფეროვნება ვინაიდან რამდენიმე საგანში გამოიყენებოდა მოძველებული ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიერ აქცენტი გაკეთებული იყო მხოლოდ უცხოენოვან ლიტერატურაზე. რაც შეეხებოდა ქართულენოვან ლიტერატურას

პროგრამაში იყო კურსები სადაც ჩადებული იყო ბოლო დროს გამოცემული ახალი ქართულენოვანი ლიტერატურა.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა ახალი უცხოენოვანი ლიტერატურა უნდა თარგმნილიყო ქართულ ენაზე თუ არა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტს ჰყავდა ახალი დეკანი რომელმაც ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოყო თანხა კვლევითი ნაწილისათვის და მათ შორის სახელმძღვანელოების სათარგმნად. აღნიშნულ ეტაპზე ორი სახელმძღვანელოს თარგმანი უკვე მიმდინარეობდა და შემდგომშიც გაგრძელდებოდა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყოველთვის აღინიშნებოდა, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზანი გახლდათ აღეზრდა მკვლევართა ახალი თაობა. იყო თუ არა საერთაშორისო ურთიერთობებში პროგრამის ძირითადი მიზანი მკვლევართა აღზრდა თუ ეს მათი სტრატეგია გახლდათ. ასევე მას აინტერესებდა აღნიშნულ სპეციალობაზე რატომ უნდა ყოფილიყო შესწავლილი თარგმანის თეორია და პრაქტიკა და საარჩევნო ტექნოლოგიები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფს ჰქონდა უარყოფითი პოზიცია თარგმანის თეორია და პრაქტიკის კურსთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული გახლდათ ზოგადსაუნივერსიტეტო საგანი, რომელიც ინტეგრირებული იყო ყველა პროგრამაში. რაც შეეხებოდა საარჩევნო ტექნოლოგიების კურსს, აღნიშნული გახლდათ არჩევითი საგანი, რომელიც მოიცავდა პოლიტიკის მეცნიერებების თემატიკას და სწავლობდა საარჩევნო პროცესებს და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც მეტნაკლებად შინაარსობრივ ბმაში იყო საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებთან.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა ერთი შენიშვნა კონფერენციების ჩამონათვალთან დაკავშირებით, კერძოდ, ერთ - ერთი კონფერენცია არაფერ შუაში არ იყო განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ქ. ვარშავაში, მონაწილეობას იღებდა დაწესებულების თანამშრომელი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება, ასევე წარმოდგენილი იყო ამავე თანამშრომლის კონფერენციის დაიჯესტი. მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულებას ჰქონდა მიდგომა, რომ ხარვეზების გამოსწორების დოკუმენტაციაში ჩაედო ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტი, რაც არ იყო სწორი დამოკიდებულება. ანალოგიური მიდგომა იყო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მაგალითად, წარმოდგენილი იყო 2009 წლის ხელშეკრულება რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრთან. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვარშავის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა მათი მაგისტრანტი და არა თანამშრომელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6-108

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებული კვალიფიკაცია	აგრონომიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ხარხელაურმა.

- რეკომენდირებული იყო კორექტირება განეცადა პროგრამის მიზანს. პროგრამის მიზნის შესაბამისად, კურსდამთავრებულ ბაკალავრს უნდა შეძლებოდა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლად სიღარიბის დაძლევა, პროგრამაში კი არ იყო სასწავლო კურსი, რომელიც აღნიშნულ შედეგზე გაიყვანდა სტუდენტს;

- უმჯობესი იქნებოდა საგანი სურსათის უვნებლობა დამატებოდა პროგრამას, რადგან სურსათის უვნებლობის საკითხების გარეშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კომერციული წარმოება წარმოუდგენელი იყო;

- რეკომენდირებული იყო უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში შესწავლილი ყოფილიყო დარგობრივი ტერმინოლოგიის შემცველი ტექსტები, რადგან კომუნიკაციის უნარი პროგრამის მიხედვით გულისხმობდა შემდეგი კომპეტენციების განვითარებას: "იდეების, პრობლემების და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას ქართულ და უცხოურ ენებზე", რაც დარგობრივი ტერმინოლოგიის ცოდნის გარეშე სტუდენტებს გაუჭირდებოდა;

- რეკომენდირებული იყო აკადემიური წერა, რომელიც არჩევითი საგანი გახლდათ გადატანილი ყოფილიყო მირითადი სპეციალობების ნუსხაში, რადგან კომუნიკაციის

კომპეტენცია: „იდეების, პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება“, აკადემიური წერის გარეშე როტულად მისაღწევი იყო;

- რეკომენდირებული იყო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო კურსებს მოეცვა მეტი დარგობრივი საგანი;

- პროგრამის მიზნის მიხედვით, იგი ამზადებდა აგრარული ტექნოლოგიის დარგის ბაკალავრს, რომელსაც ექნებოდა აღნიშნული დარგის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. ანუ, სტუდენტს უნდა მისცემოდა აგრარულ სფეროში შემავალი ძირითადი დისციპლინების შესახებ ცოდნა:

1. ზოგადი მეცხოველეობა გახლდათ ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი დისციპლინა. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის სავალდებულო კურსების სიაში იყო მინდვრად საკვებ წარმოება, რომელიც უშუალოდ იყო მიზული მეცხოველეობასთან, ხოლო სასწავლო საგანი წარმოება, რომელიც უშუალოდ იყო მიზული მეცხოველეობასთან, ხოლო სასწავლო საგანი წარმოება, იგივე მდელოდ საკვებ წარმოება, დაკავშირებული იყო, როგორც მეცხოველეობასთან ისე მინდვრად საკვებ წარმოებასთან;

2. საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სათბურში წარმოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი დარგი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისციპლინა იყო, ამიტომ სასწავლო საგანი „სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა“ სასურველი იყო დამატებოდა ძირითადი დისციპლინების ნუსხას;

3. სასწავლო დისციპლინა „ხილისა და ბოსტნეულის შენახვა და პირველადი გადამუშავება“ გახლდათ მებოსტნეობის, მეხილეობის და მევენახეობის წარმოების ციკლის გადამუშავება“ გახლდათ მებოსტნეობის, მეხილეობის და მევენახეობის წარმოების ციკლის გადამუშავებელი, დამასრულებელი ნაწილი. რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის „ხილ-ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია“, სახელწოდება შეცვლილიყო, რადგან პირველადი გადამუშავება კვების ტექნოლოგიის კომპეტენცია იყო. შეცვლილიყო, რადგან პირველადი გადამუშავება კვების ტექნოლოგიის კომპეტენცია იყო. სასწავლო კურსის სახელწოდებად განსაზღვრულიყო „ხილ-ბოსტნეულის სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდებად განსაზღვრულიყო „ხილ-ბოსტნეულის ბოსტნეულის დაკონსერვება, დამარინადება და ა.შ. ამოღებული ყოფილიყო და როგორიც იყო ბოსტნეულის დაკონსერვება, დამარინადება და ა.შ. ამოღებული ყოფილიყო და მეტი მოცულობით ყოფილიყო განხილული ხილისა და ბოსტნეულის შენახვის ტექნოლოგიები, შენახვის რეჟიმები;

- სილაბუსის სახელწოდება „მეხილეობა და სუბტროპიკული კულტურები“ უნდა შეცვლილიყო და დარქმეოდა „მეხილეობა“, რადგან სუბტროპიკული კულტურები იყო მეხილეობის შემადგენელი ნაწილი;

- რეკომენდირებული იყო, სილაბუსში „სასოფლო-სამეურნეო მანქანები“, განხილული ყოფილიყო თანამდროვე, მრავალფუნქციური მანქანები. პროგრამის მიზანი გახლდათ, ბაკალავრის მომზადება, რომელსაც შეეძლებოდა სოფლის მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სასურველი იყო სტუდენტისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მრავალფუნქციური მანქანების არსებობის შესახებ, მათი დანიშნულების, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსში „აგროქიმია“, მე-13 თემაში, სადაც განხილული იყო სასუქები, განახლებული ყოფილიყო სასუქების ჩამონათვალი. სასუქების განხილული იყო სასუქები, განახლებული ყოფილიყო სასუქების ჩამონათვალში არ განიხილებოდა თანამედროვე კომპლექსური სასუქები, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა კომერციულ წარმოებაში. სასურველი იყო სტუდენტისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია აგროქიმიკატების წარმოებაში თანამედროვე მიღწევების შესახებ;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსის „მებოსტნეობა“, მე-3 თემაში „გამრავლების წესები და მეთოდები კულტურების მიხედვით“ განხილული ყოფილიყო ბოსტნეულის მყნობის საკითხები ჩითილის გამოყვანა დახურული ფესვთა სისტემით, ჩითილის წარმოება დახურული ფესვთა სისტემით ფართოდ გამოიყენებოდა ბოსტნეული კულტურების წარმოებაში და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ მებოსტნეობაში;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსში „სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა“, მე-2 თემის სათაური „მცენარეთათვის საჭირო პირობების შესაძლებლობების გარანტია“, სადაც განხილული იყო დაცული გრუნტისთვის ადგილის შერჩევის კრიტერიუმები, შეცვლილი ყოფილიყო და წოდებოდა „ადგილის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები დაცული გრუნტისთვის“. მე-3 თემის სახელწოდება „სათბურის ტიპები წლის პერიოდების მიხედვით“ შეცვლილიყო და წოდებოდა „სათბურის ტიპები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები“. მე-3 თემას დამატებოდა საკითხი „მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“. მე-5 თემას „დაცული გრუნტი გარდამავალი ბრუნვისათვის“ საკითხს „ჰიდროპონიკის სათბურებში მცენარის მოყვანის წესების თავისებურებანი“ დამატებოდა სიტყვა „გრუნტის“ და ფორმულირებული ყოფილიყო შემდეგნაირად: „გრუნტზე და ჰიდროპონიკაზე მცენარის მოყვანის წესების თავისებურებანი“. მე-6 თავში თემის სახელწოდება „სასიცოცხლო ფაქტორები და მათი მოქმედების სისტემები“ ამოღებული ყოფილიყო, რადგან მასში განხილული თემები და მათი მოქმედების სისტემები“ ამოღებული ყოფილიყო, რადგან მასში განხილული თემები სრულად არ მოიცავდა მცენარის სიცოცხლისათვის აუცილებელ ყველა სისტემას. საკითხი „სავენტილაციო სისტემები და მათი მახასიათებლები“ გადატანილი ყოფილიყო მე-3 თავში, სადაც განხილებოდა სათბურის ტიპები, კონსტრუქციები და ძირითადი სისტემები. საკითხი „შხამ-ქიმიკატების შემფრქვევი აპარატები“ გადასულიყო მე-9 თავში, სადაც განხილული იყო მცენარის დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან. მე-8 თემას, სადაც განხილული იყო „თესლის მახასიათებლები და თესლის კონტროლი“ დამატებოდა საკითხი „ჰიბრიდული თესლი“. მე-9 თემას, სადაც განხილული იყო „მცენარის დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან“ დამატებოდა საკითხი მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული მეთოდები;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსში „სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა“, განხილული ყოფილიყო თესლის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები ISTA და ჰიბრიდული თესლის წარმოების საფუძვლები. აღნიშნული ორი საკითხი იყო ძალიან მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობის შესწავლისას. ხარისხიანი თესლის წარმოებისათვის აუცილებლი იყო სტანდარტის ცოდნა, რომლის შესაბამისად მოხდებოდა თესლის წარმოება. კომერციულ წარმოებაში ძირითადად იწარმოებოდა ჰიბრიდული თესლი, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო სტუდენტს ჰქონილი ინფორმაცია მისი არსის და წარმოების საფუძვლების შესახებ;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსში „ენტომოლოგია“ დაკონკრეტებული ყოფილიყო სასწავლო კურსის მიზანი, რომელსაც ჰქონდა შემდეგი ფორმულირება: „თითოეული სახეობის სისტემატიკური მდგომარეობის განსაზღვრა მავნე და სასარგებლო სახეობების იდენტიფიცირების მეთოდებით და ამ პრინციპების საფუძველზე ლოგიკური მსჯელობის განვითარება“. აღნიშნული საგნის სწავლების მნიშვნელობა ბევრად ღრმა იყო ვიდრე მხოლოდ მსჯელობის უნარის განვითარება;

- რეკომენდირებული იყო, რომ საკითხი ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობა, მათი გაშენება და ექსპლუატაცია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის და რომელიც ისწავლებოდა მხოლოდ სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსში „მეტყევეობაში“, განხილული ყოფილიყო ძირითად სასწავლო კურსად სილაბუსებში;

- რეკომენდირებული იყო, პროგრამას დამატებოდა სასწავლო კურსი, სადაც განხილული იქნებოდა სურსათის უვნებლობის საკითხები;

- რეკომენდირებული იყო, პროგრამის სასწავლო კურსების: (ზილ-ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია; სასოფლო-სამეურნეო მანქანები; მებოსტნეობა; სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა), სწავლის შედეგების დაკორექტირება ცალკეული დისციპლინების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

- რეკომენდირებული იყო სილაბუსში „სასოფლო-სამეურნეო მანქანები“, რომლის დაშვების წინაპირობა იყო საკვებწარმოება და მემცნარეობა, მასში კი განხილული იყო ხილისა და ბოსტნეულის ამღები მანქანებიც, დაშვების წინაპირობად დამატებოდა სასწავლო კურსი „მებოსტნეობა“ და „მეხილეობა და სუბტროპიკული კულტურები“;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსს „აგროქიმია“ დაშვების წინაპირობად დამატებოდა „ნიადაგმცოდნეობა“ რადგან „აგროქიმია“ იყო მეცნიერება, რომელიც სწავლობდა ნიადაგსა და მცენარეში მიმდინარე ქიმიურ და ბიოქიმიურ პროცესებს, ანუ აგროქიმია დაფუძნებული იყო ნიადაგმცოდნეობაზე;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსს „მებოსტნეობა“ დაშვების წინაპირობად დამატებოდა „აგრომეტეოროლოგია“ და კლიმატოლოგია“. სასწავლო კურსი „აგრომეტეოროლოგია“ და კლიმატოლოგია“ სწავლობდა ბუნებაში არსებულ კლიმატურ მოვლენებს, ცვლილებებს და ა.შ. აღნიშნული საკითხების ცოდნა და მათი გამოყენება ბოსტნეული კულტურების წარმატებული წარმოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსში „სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა“, რომლის დაშვების წინაპირობა იყო მხოლოდ მემცნარეობა, რაც მოიცავდა მხოლოდ მინდვრის კულტურები, როგორიც იყო: ხორბალი, ქერი და ა.შ. ხოლო სასწავლო კურსში განიხილებოდა ბოსტნეული და ხეხილოვანი კულტურების ვეგეტატიური გამრავლება, წინაპირობად დამატებოდა „მებოსტნეობა“ და „მეხილეობა და სუბტროპიკული მცენარეები“;

- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსში „აგრობიოტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობად დამატებოდა „მიკრობიოლოგია“. სასწავლო კურსში აგრობიოტექნოლოგია წინაპირობად დამატებოდა ისეთი თემები, რომლებიც უშუალოდ კავშირში იყო მიკრობიოლოგიასთან განიხილებოდა ისეთი თემები, რომლებიც უშუალოდ კავშირში იყო მიკრობიოლოგიასთან (მიკრობული უჯრედის გარდაქმნის უნარით განპირობებული ტექნოლოგიები; სოფლის მეურნეობის ნარჩენების მიკრობოლოგიური ბიოკონვერსია; საფუარების, ბაქტერიებისა და მეურნეობის ნარჩენების მიკრობოლოგიური ბიოკონვერსია; სასურველი, არაპათოგენური და არა სოკოების მიერ სასოფლო სამეურნეო ნარჩენებიდან სასურველი, არაპათოგენური და არა ტოქსიკური ცილიბისა და მიკროელემენტების ბიოკონვერსია; სასოფლო სამეურნეო მიკროორგანიზმების ბიოტექნოლოგია);

- რეკომენდირებული იყო, მომხდარიყო სტუდენტთა შეფასების მეთოდების ოპტიმიზაცია დისციპლინების სპეციფიკის მიხედვით. შეფასება იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჯაჭვი სასწავლო პროცესში, იგი ცოდნის მიღების ერთ-ერთი შესაძლებლობა გახლდათ. ამიტომ შეფასების სისტემა უნდა ყოფილიყო მორგებული სასწავლო დისციპლინას. გადასახედი იყო ყოველკვირეული შეფასების ნაწილი. მაგ: სასწავლო საგანი „აგრობიოტექნოლოგია“, ყოველკვირეული შეფასება, შეფასების მეთოდები: ტესტირება დახურული ყოველკვირეული შუალედური შეფასება, შეფასების მეთოდები: ტესტირება დახურული კითხვებით. ტესტი მოიცავდა ორ მაგალითს, სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი კითხვებით. ტესტი მოიცავდა თუ მაგალითს, სწორად ამოხსნილი შეფასება შეადგენდა 0 ქულას. ფასდებოდა ერთი ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენდა 0 ქულას. თითოეულ მაგალითს ჰქონდა რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო. შეუძლებელი იყო ყველა დისციპლინაში, ყველა თემის შეფასებისას მომხდარიყო ერთი და იგივე შეფასების მეთოდის: ტესტირება დახურული კითხვებით გამოყენება. აგრეთვე ყოველი კვირის ბოლოს შეუძლებელი იყო ისეთი მასალა დაგროვილიყო ყველა დისციპლინაში, რომ ეცემტური ყოფილიყო აღნიშნული მეთოდის გამოყენება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ აგრარული ტექნოლოგიები, სადაც სპეციალობის საგნები ძირითად ჩამონათვალში გახლდათ ძალიან ცოტა, აქცენტი იყო გაკეთებული ზოგად საგნებზე, თუმცა გარკვეული დისციპლინები სასურველი იყო გადატანილი ყოფილიყო სავალდებულო საგნების ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა პასუხობდა თუ არა პროგრამა მიზანს.  
ექსპერტმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლდათ სურსათის უვნებლობის საგანი, რომელიც წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსის სახით, სილაბუსში არ იყო

თავმოყრილი ის საკითხები რომელიც უშუალოდ ეხებოდა სურსათის უნიტარი სიტუაცია იყო მოყვანის ტექნოლოგიების საგანთან დაკავშირებითაც. ამის გარდა, სავალდებულო კურსის სახით სასურველი იყო ყოფილიყო წარმოდგენილი ზოგადი მეცნიერებები, სასათბურე მეურნეობების ექსპლუატაცია და მართვა, ხილისა და ბოსტნეულის შენახვა და პირველადი გადამუშავება. აღნიშნული საგანთან წარმოადგენენ ციკლს პროდუქციის დათესვის და მოვლის, აღების და შენახვის.

ასევე აუცილებელი იყო დაკორექტირებული ყოფილიყო ბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია, რომელშიც გარკვეული თემები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებით, შესაბამისად პროგრამაში არ იყო ჩადებული თემა ტექნოლოგიურ პროცესთან აღნიშნულ საკითხზე შედგა ბოსტნეულის და ხილის შენახვის ტექნოლოგია. დაწესებულებასთან აღნიშნულ შედგა შეცვედრა სადაც წარმომადგენლებმა დაადასტურეს რომ გათვალისწინებდნენ ექსპერტის მოსაზრებას.

მნიშვნელოვანი იყო ასევე ქარსაფარი ზოლების საკითხი. ქარსაფარი ზოლები 30 პროცენტით ზრდიდა პროდუქტის მოსავლიანობას, ხოლო აღნიშნულ საკითხზე ცოდნა იყო როლი ენიჭებოდათ და სასურველი იყო აღნიშნული თემის სილაბუსი ყოფილიყო სავალდებულო როლი ენიჭებოდათ და არა არჩევითის. მნიშვნელოვანი იყო დახვეწილი ყოფილიყო ნაწილის სახით წარმოდგენილი და არა არჩევითის. მნიშვნელოვანი იყო დახვეწილი ყოფილიყო შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ფაქტიურად გახლდათ სწავლის ნაწილი. შესაბამისად შედეგის მისაღებად სასურველი იყო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასურველი იყო ექსპერტთა დასკვნაში სრულყოფილად ყოფილიყო დაფიქსირებული ინფორმაცია ექსპერტების ვინაობის, მათი თანამდებობის და საქმიანობის სფეროს შესახებ და არ ყოფილიყო მხოლოდ ხელმოწერა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა ხორციელდებოდა თუ არა ანალოგიური პროგრამა რომელიმე დაწესებულებაში. ექსპერტმა განაცხადა, რომ აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებდა აღნიშნული პროგრამის ანალოგს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში განხილეს და შეისწავლეს ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები, განხორციელდა შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, სადაც მათ გამოხატეს მზაობა გარკვეული საკითხები გაეთვალისწინებინათ და შეეტანათ ცვლილებები, რეკომენდაციების 90 პროცენტი გათვალისწინებული იქნა, ცვლილებები და მოდიფიცირება გატანილ იქნა ფაკულტეტის საბჭოს გათვალისწინებული იქნა, ცვლილებები და მოდიფიცირება გატანილ იქნა ფაკულტეტის საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლდათ აგრონომიის ბაკალავრი.

თავმჯდომარემ მიმართა წარმომადგენელს და განაცხადა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი იყო უამრავი რეკომენდაცია, რაზეც მისი მოსაზრებით წარმოუდგენელი იყო ერთ დღეში ექსპერტის მიერ აღნიშნული რეკომენდაციების ჩაწერა და დაწესებულების მიერ მათი გათვალისწინება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტი დასრულდა 2 აგვისტოს და იმავე დღეს გარკვეული ნაწილის მოდიფიცირება განხორციელდა აკადემიურ საბჭოზე. დაზუსტებული იქნა წინაპირობები და ცვლილებები შეტანილ იქნა სილაბუსებში.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი, ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს საბჭო არ ითვალისწინებდა. მან კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად. მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ

დასკვნა დაიწერა იმ პროგრამის და მდგომარეობის საფუძველზე, რაც იყო ვიზიტის განხორციელების დროს. შესაბამისად საბჭოსაც უნდა ემსჯელა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე. რაც შეეხებოდა ცვლილებების განხილვას აღნიშნული გულისხმობდა ხელახლა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნას და მოდიფიცირებული პროგრამის გადამოწმებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითად 210 კრედიტი დარგობრივი საგნები იყო 71 პროცენტით წარმოდგენილი, ხოლო საუნივერსიტეტო საგნები 29 პროცენტით. ტექნიკურ საგნებს ეკავა 13 კრედიტი და იყო სამი საგანი, ჰუმანიტარულ საგნებს ეკავა 5 კრედიტი და იყო ერთი საგანი, რაც შეხებოდა აკადემიურ წერას იგი გახლდათ საუნივერსიტეტო საგანი და ძირითადში მისი გადატანა შეუძლებელი იყო. უცხო ენები მოიცავდა 15 კრედიტს და ისწავლებოდა სამი სემესტრის განმავლობაში, ეკონომიური მიმართულებიდან ისწავლებოდა ერთი საგანი რომელიც მოიცავდა 5 კრედიტს, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნებიდან ისწავლებოდა ოთხი საგანი და მოიცავდა 19 კრედიტს. დარგობრივი საგნები მოიცავდა 119 კრედიტს და 23 დასახელების საგანს. 30 კრედიტს მოიცავდა სპეციალობის სავალდებულო არჩევითი 20 საგანი. მათ ჰყავდათ სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები, რომლებისთვისაც აგრარული სფეროდან სხვადასხვა სფეროები იყო პრიორიტეტული, შესაბამისად არჩევითი საგნების თემატიკაც აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით იყო შემუშავებული.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, პროგრამა ტოვებდა შთაბეჭდილებას თითქოს წარმოდგენილი იყო ზედმეტი რაოდენობის საგნებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნების სიმრავლის მიზეზი გახლდათ ის, რომ აღნიშნული პროგრამა გახლდათ ძველი პროგრამის მოდიფიკაცია, მასში თავდაპირველად იყო ბევრი ხარვეზი, სტუდენტები ვერ იგებდნენ საგნებს, მოხდა პროგრამის შეცვლა, თუმცა, აუცილებელი გახდა იმ საგნების აღიარება რომელიც უკვე გავლილი ჰქონდათ სტუდენტებს.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბოლომდე არ ესმოდა საკითხი. იყო ძველი პროგრამა რომელიც არ იყო კარგი და რომელიც ზღუდავდა მათ ახალი პროგრამის შემუშავებაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტის შექმნის დღიდან ფუნქციონირებდა აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა, რომელიც გაჯერებული იყო უხეში ხარვეზებით, მას შემდეგ რაც მოხდა ფაკულტეტის აღჭურვა ახალი ტექნოლოგიებით, ლაბორატორიებით და დაკომპლექტდა ახალი აკადემიური პერსონალით, გადაწყდა დაწყებულიყო მუშაობა ახალ პროგრამაზე. 210 კრედიტის ფარგლებში მოხდა აგრარული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებების გაშლა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რომ არ ყოფილიყო ძველი პროგრამა რა სახით წარმოადგენდნენ ახალ პროგრამას და რას შეცვლიდნენ მასში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში თავიდან დაწერდნენ პროგრამას. რაც შეეხებოდა ექსპერტის რეკომენდაციას ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებდა არაერთი სილაბუსი, რომელიც შედიოდა 180 კრედიტში. მაგალითად: ზოგადი მიწათმოქმედება; აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია; ეკოლოგიის საფუძვლები; მცენარეთა დაცვის საფუძვლები. ყველა აღნიშნული საგანი თავისი მიმართულებით სწავლობდა ქარსაფარ ზოლებს.

ცენტრის თანამშრომელი ქეთევან ინანაშვილი დაინტერესდა ვინაიდან პროგრამა აკრედიტაციას გადიოდა განახლებული ფორმით, ინფორმირებული იყვნენ თუ არა სტუდენტები აღნიშნულის შესახებ და რა მეთოდით მოხდებოდა მათი გადაყვანა ახალ პროგრამაზე აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგია, რომელიც ეხებოდა ძველი პროგრამიდან

ახალ პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში საგნების შესაბამისობას, აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადებული იყო ყველა დოკუმენტი მათ შორის აღიარების დოკუმენტი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაცემებით და რაოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაჭირდათ პერსონალის დაახლოებით 20 პროცენტის მოწვევა არჩევითი საგნების მიზნით, ხოლო სავალდებულო 119 საგანი მირითადად იკითხებოდა ადგილობრივი აკადემიური პერსონალის მიერ. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას უცხო ენასთან და დარგობრივი ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებით დაწესებულება არ თვლიდა მიზანშეწონილად ბაკალავრიატის საფეხურზე. ასევე აკადემიური წერა გახლდათ როგორც აღინიშნა არჩევითი საგანი და საუნივერსიტეტო რეგულაციით მისი გადატანა სავალდებულო საგნებში შეუძლებელი იყო. რაც შეეხებოდა შეფასების სისტემას, ფაკულტეტი ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის სპეციალური რეკომენდაციებით, წარმოდგენილი იყო ყოველკვირეული რვა შეფასების მეთოდი.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მუდმივად ჰქონდა შეფასების პრობლემა მიუხედავად ფაკულტეტისა და პროგრამისა. აღნიშნული პრობლემა იარსებებდა მუდმივად სანამ არ მოხდებოდა შიდა რეგულაციების ცვლილება. ყოველივე აღნიშნულის მოგვარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცენტრის მიერ დარგობრივი სტანდარტის შემუშავების გზით.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ მისი რჩევა იქნებოდა, რომ როდესაც უნივერსიტეტი გაივლიდა ავტორიზაციას და დარეგულირდებოდა შიდა საუნივერსიტეტო საკითხები მას შემდეგ შემოეტანათ აღნიშნული პროგრამა სააკრედიტაციოდ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავდაპირველად წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ რეკომენდაციების 90 პროცენტი, ხოლო შემდგომ გარკვეულ საკითხებზე აღინიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ ექსპერტის რეკომენდაციებს. შემდეგ აღინიშნა, რომ თავდაპირველი პროგრამა გახლდათ ცუდი, რომელიც განაპირობებდა ახალ პროგრამაში არსებულ ხარვეზებს. შენიშვნები გარკვეულწილად იყოფოდა ორ ჯგუფად, ზოგი შენიშვნა იყო მძიმე, ხოლო ზოგი ისეთი, რომ შესაძლებელი იყო მათი მარტივად გათვალისწინება პროგრამაში გარკვეული ჩანაწერების გაკეთებით. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, საბჭოს ზუსტად უნდა ცვდნოდა რა ცვლილებები განხორციელდა. თუ ცვლილებები ეხებოდა ტექნიკური დეტალების გასწორებას საბჭოს შეეძლო აღნიშნულის მხედველობაში მიღება, ხოლო თუ განხორციელებული იყო ძირეული ცვლილებები ახალი შეფასების და დასკვნის გარეშე შეუძლებელი იყო ცვლილებების უტყუარობის დადგენა.

სხდომის თავმჯდომარე ასევე მიიჩნევდა, რომ პროგრამა იყო ძალიან დიდი, მისთვის გაუგებარი იყო როგორ აითვისებდა სტუდენტი ამ რაოდენობის საგნებს. საგნები ან უნდა ყოფილიყო ნასწავლი ზერელედ უნივერსიტეტის მიერ, ან სტუდენტი ვერ დაძლევდა პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა.

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან, პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო, გამოსწორებული იყო თუ არა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული ხარვეზები.

საბჭოს წევრის ნანა შათაშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო პროგრამის გაუმჯობესებაზე მუშაობა განხორციელებულიყო თავიდანვე, მიუღებელი იყო არსებული დიდი დოზით სავალდებულო საგნების შეთავაზება სტუდენტებისათვის, აღნიშნული ეხებოდა საბუნებისმეტყველო საგნების დიდ წილს. სასურველი იყო უნივერსიტეტს გაეთვალისწინებინა აღნიშნული ფაქტორი მომავალში, ვინაიდან მოცემული მიდგომით ზიანდებოდა თავად დარგიც. აღნიშნული ეხებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროგრამას.

სხდომაზე 17:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:00 საათზე.

18:00 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა.

18:05 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ლაშა ლაბაძე.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნახეობისა და ენოლოგის საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროგრამის დასახელება	მეცნახეობა და ენოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებული კვალიფიკაცია	აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა თუ არა თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა დავით ჩიჩიუამ.

- რეკომენდირებული იყო, რომ სასწავლო კურსების დასახელებების ნუმერაცია ყოფილიყო სწორად შემუშავებული. მაგ: სასწავლო დისციპლინები ზოგადი მიკრობიოლოგია და სპეციალური მიკრობიოლოგია (ღვინის მიკრობიოლოგია) საჭიროების გარეშე იყო ნუმირებული, ხოლო ენოლოგია1 და ენოლოგია2 გამოყოფილი იყო 2-2 ნაწილად, ისე რომ საგნის დასახელებაში არ იყო ასახული (მხოლოდ ფრჩხილებში მოცემულ განმარტებაში იყო განსხვავება);

- სასწავლო დისციპლინის „დისტრიბული სასმელების ტექნოლოგია“ შეფასების კომპონენტი „ყოველკვირეული საშინაო დავალება“, რაც გულისხმობდა ინტერაქტიულ ფორმატს: დავალების მიცემას, გამოკითხვას და შეფასებას უმჯობესი იყო მომხდარიყო სემინარულ მეცადინეობაზე და არა ლექციაზე;

- სასწავლო დისციპლინაში „ენოლოგია2“ ინდივიდუალური პროექტის ორ შუალედურ შეფასებაში განაწილება იყო არალოგიკური, მითუმეტეს, როცა მსგავსი ინდივიდუალურ შეფასებაში განაწილება არალოგიკური, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა იყო მოდაში, მისი განხორციელება გახლდათ ასევე რაციონალური და პრაგმატული გადაწყვეტილება.

კურსდამთავრებულების თითქმის 80 პროცენტი საქმდებოდა თავისი სპეციალობით. პროგრამას ჰქონდა ძლიერი მხარეები, რაც გამოიხატებოდა ძალიან კარგად მომზადებულ ინფრასტრუქტურაში, მოწყობილი იყო სასწავლო ლაბორატორია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრიც ჩართული იყო სასწავლო პროცესის ხელშეწყობაში, კერძოდ პრაქტიკული მეცადინეობების სახით. სოფლის მეურნეობის სამინისტროც გამოხატავდა მზაობას ლაბორატორიების თანამედროვე ტექნიკით გამდიდრებისათვის. პროგრამის ძლიერი მხარე გახლდათ ასევე აკადემიური პერსონალი ძლიერი სპეციალისტების სახით. ფაკულტეტზე მოქმედებდა შეთამაშებული გუნდი, ხორციელდებოდა სამაგისტრო პროგრამაც.

ექსპერტის განმარტებით აღფრთოვანებას არ იწვევდა შეფასების სისტემა, რომელიც გახლდათ აბსოლუტურად გაუგებარი, თუმცა როგორც წინა საკითხების განხილვის დროს ითქვა აღნიშნული გახლდათ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაცია, რაც აკადემიურ თავისუფლებას უზღუდავდა სილაბუსის ავტორებს. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს ერთი გახლდათ ტექნიკური ხასიათის, აკლდა სილაბუსი და ადგილზევე მოხდა ჩასწორება, ხოლო სამ რეკომენდაციაზე ვერ მიიღეს სათანადო პასუხი, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია და მიღებულ იქნა პასუხი, რომ გათვალისწინებული იქნებოდა სამომავლოდ. აღსანიშნავი იყო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, კერძოდ პროგრამა გაკეთებული იყო იტალიის მილანის უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით, პროგრამაში ჩადებული იყო ინგლისურენოვანი კურსები რაც ხელს შეუწყობდა მობილობას, როგორც ლექტორების მოწვევის ასევე სტუდენტების მივლინების კუთხით. ერთი მინუსი იტალიური პროგრამის კოპირების გახლდათ ის, რომ საგნების სახელები არასწორად იქნა დანომრილი და სახელწოდებები და განმარტებები იქნა არასწორად ფორმულირებული. ასევე იყო საგანი, სადაც იყო შეფასებადი ყოველკვირეული საშინაო დავალება, ხოლო სწავლების ფორმატი იყო ლექცია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, აღნიშნული ხარვეზი გახლდათ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის პრობლემა თუ პროგრამაში იყო დაშვებული შეცდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ გაითვალისწინეს აღნიშნული საკითხი და მოხდა სასემინარო მეცადინეობის დამატება სადაც შეფასებაც იქნებოდა რელევანტური. შეცვლილი იქნა სილაბუსი და ჩამატებული იქნა საგანი, რათა მორგებოდნენ უნივერსიტეტის რეგულაციას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კიდევ ერთი სადაც საკითხი, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ იყო სასწავლო დისკიპლინა, სადაც სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტს ევალებოდა პროექტის მომზადება. პროექტი გაყოფილი იყო ორ შუალედურ შეფასებაში, რაც სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე არ იყო ლოგიკური, ვინაიდან პროექტი იყო მთლიანი და შეუძლებელი იყო შუალედურ ეტაპზე პრეზენტაციის მომზადება, ვინაიდან პროექტი გახლდათ დინამიური პროცესი, მიმდინარეობდა სამუშაო, რაც შესაძლებელი იყო დასრულებული ყოფილიყო მხოლოდ პროექტის ბოლოს და შუალედში მისი წარმოდგენა არანაირ შედეგს არ გამოიღებდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა ვინაიდან მისი შინაარსი უფრო მეტად მორგებული იყო აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტის ინტერესებზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნახეობისა და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებს, ცენტრის მიერ განხილული უნდა ყოფილიყო, როგორც მონიტორინგის წინაპირობა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, მომხდარიყო აღნიშნულის გადამოწმება, ასევე გადამოწმებული ყოფილიყო შეფასების სისტემა და საერთო საუნივერსიტეტო საგნების რელევანტურობა. მიზანშეწონილი იყო ერთხელ და სამუდამოდ დასრულებული საგნების რელევანტურობა. აღნიშნული პირობებით არაერთ ყოფილიყო აღნიშნულ საკითხებზე დაუსრულებელი მსჯელობა. აღნიშნული პირობებით არაერთ პროგრამას მიუღია აკრედიტაცია. აღნიშნული საკითხები ნამდვილად იყო სერიოზული შენიშვნები, რომელიც სცდებოდა აკრედიტაციის საბჭოს კომპეტენციას.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამკურნალო ტექნოლოგია	მცენარეების მოყვანის
განათლების საფეხური	მაგისტრატურა	
მისანიჭებული კვალიფიკაცია	აგრარული მეცნიერებების სამკურნალო მცენარეების ტექნოლოგიაში	მაგისტრი მოყვანის
სწავლების ენა	ქართული	
კრედიტების რაოდენობა	120	

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან კინწურაშვილმა.

- მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება უნდა ყოფილიყო შეცვლილი. ნაცვლად „აგრარული მეცნიერებების მაგისტრი სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიების სპეციალიზაციით“ უნდა ყოფილიყო „აგრარული მეცნიერებების მაგისტრი სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიაში“;

- აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებული იყო სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სასურველი იყო ანგიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახული ყოფილიყო სილაბუსებშიც, (კონსულტაციის შესაძლებლობა, სავარაუდო საკონსულტაციო დღეები, დროები);

- ძირითადი სასწავლო კურსისათვის „სამკურნალო მცენარეების კულტივირების ტექნოლოგია“ რეკომენდირებული იყო შემდეგი: შეცვლილიყო კურსის მიზანში მოცემული ფორმულირება „ეკოლოგიურად უსაფრთხო ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მაღალი შემცველობის ბიონედლებულის მისაღებად“ შემდეგით: „ეკოლოგიურად უსაფრთხო ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მაღალი შემცველობის ნედლეულის მისაღებად“. იმიტომ, რომ სამრეწველო პლანტაციების კულტივირების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლებელი იყო ხაზგასმით თქმა, რომ ყოველთვის მიიღებდნენ ბიონედლეულს. ზოგადად, ბიონედლეულის მიღების შესაძლებლობების სეგმენტი ძალიან შეზღუდული იყო,

რადგან ასეთ დროს სრულად უნდა გამორიცხულიყო ქიმიური პესტიციდების და სისტემური პრეპარატების გამოყენება. უმჯობესი იქნებოდა ტექსტში ჩაწერილიყო: „ნედლეული“ ნაცვლად ბიონედლეულისა“. მით უმეტეს, რომ კურსის შინაარსში არსად არ იყო ნახსენები ბიონედლეული. არადა სასურველია რომ ყოფილიყო;

- ძირითადი სასწავლო კურსისათვის „სამკურნალო მცენარეების კულტივირების ტექნოლოგია“ რეკომენდირებული იყო, რომ კურსის შინაარსში დამატებოდა თემები: ა) ტექნოლოგია“ რეკომენდირებული იყო, როცა მცენარეების კულტივირების ტექნოლოგიაზე იყო მულჩირება და სიდერაცია. რადგან, როცა მცენარეების კულტივირების ტექნოლოგიაზე იყო საუბარი, აუცილებელი იყო სტუდენტისათვის მიეწოდებინათ ცოდნა ორგანული ნივთიერებებითა და აზოტით ნიადაგის განვიყერების ხერხებზე, რომელიც ხორციელდებოდა ნაკვეთზე სპეციალურ მცენარეთა მწვანე მასის ნიადაგში ჩახვნით. ბ) შენახვის მეთოდები. სილაბუსის მეხუთე თემაში, სადაც განხილული იყო სამკურნალო და არომატულ მცენარეთა თესლბანკის შექმნის მექანიზმები, შენახვის რეჟიმების ნაცვლად უნდა ყოფილიყო შენახვის მეთოდები, რადგან მხოლოდ შენახვის მეთოდების გათვალისწინებით შეიძლებოდა საუბარი შენახვის რეჟიმებზე. გ) ბიონედლებული, მისი მიღების ხერხები და შესაძლებლობები. აღნიშნული თემის დამატება აუცილებელი იყო, რადგან საკითხი იყო აქტუალური ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე;
  - ძირითადი სასწავლო კურსისათვის „მცენარეთა ბიოლოგია და ფიზიოლოგია“ რეკომენდირებული იყო შემდეგი: სემინარის შინაარსში მეორე თემის არსებულ ფორმულირებაში საერთოდ უნდა ყოფილიყო ამოღებული ტექსტი: „ბიოლოგიური სისტემა გაცილებით რთულია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა“, მისი ჩაწერა სემინარის შინაარსში არ იყო საჭირო, რადგან წინადადება ფორმულირებული არ იყო როგორც თემის დასახელება და ვერც იქნებოდა. უნდა დარჩენილიყო ცოცხალი სისტემის ორგანიზაციის დონეები;
  - რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსები: „ბიზნესკომუნიკაცია“ და „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი ყოფილიყო არა როგორც არჩევითი კურსები, არამედ როგორც ძირითადი (ფაქტობრივად ნაგულისხმევი იყო კიდევ ამგვარად). ეს იმიტომ, რომ სინამდვილეში ისინი იყვნენ პროგრამის ძირითადი კომპონენტები და მათი არჩევა ხდებოდა მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით. (ანუ „ბიზნესკომუნიკაცია“ და მეორე საგანიც, ნებისმიერ შემთხვევაში ისწავლებოდა პროგრამაში ან ინგლისურ, გერმანულ, რუსულ ან ფრანგულ ენაზე). ამრიგად, პროგრამაში რეალურად არჩევითი იყო, მხოლოდ 5 კრედიტი (სამკურნალო მცენარეები და ორგანული მიწათმოქმედება/ბუნებრივი ფოტონაერთები და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატები/ხალხური ფიტომედიცინა), ხოლო „ბიზნესკომუნიკაცია“ და „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ გამოდიოდა ძირითადი;
  - რეკომენდირებული იყო შეცვლილიყო პროგრამის სტრუქტურის ვიზუალური მხარე (მექანიკურ რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში) და ის ყოფილიყო წარმოდგენილი შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი 75 კრედიტი, მათ შორის: ძირითადი სასწავლო კურსები 60 კრედიტი, არჩევითი 5 კრედიტი, პრაქტიკა 10 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება თავად მიუთითებდა პროგრამის აქტუალობაზე, რაც გულისხმობდა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოწესრიგებას მცენარეული პრეპარატებით.
  - სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა საქართველოში რომელიმე უნივერსიტეტში თუ ხორციელდებოდა ანალოგიური პროგრამა. ექსპერტმა განაცხადა, რომ არსად არ იყო პროგრამის ანალოგი, რაც განაპირობებდა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის ორიგინალურობას პროგრამის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანას ეყოლებოდა კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებოდათ სამკურნალო მცენარეების მოყვანა ტექნოლოგიურ ნორმების დაცვით.

6.1st

თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სპეციალისტები ვინც განახორციელებდნენ პროგრამას. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ღირსება მდგომარეობდა იმაში რომ მისი ხელმძღვანელი გახლდათ თამარ კაჭარავა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით წლების განმავლობაში მუშაობდა და ჰქონდა მნიშვნელოვანი მეცნიერული ნამუშევრები, რომლებიც აღიარებული იყო საერთაშორისო დონეზე. აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნული სამაგისტრო კვლევითი მიმართულების პროგრამის განხორციელებისათვის არსებობდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვლევითი ინსტიტუტი რომელიც მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით და შედიოდა მათ სტრუქტურაში. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა აკადემიური პერსონალი. პროგრამის სტრუქტურა და აგებულება იყო ლოგიკურად და მოწესრიგებულად. სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილი იყო 75 კრედიტით, კვლევითი კომპონენტი 45 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები 15 კრედიტი და პრაქტიკა 10 კრედიტი. მნიშვნელოვანი დადებითი მხარე გახლდათ 10 კრედიტის მოცულობის პრაქტიკა, ვინაიდან აგრძარული მიმართულების პროგრამას წარმოადგენდა სწორად პრაქტიკა და სეზონურობის დაცვა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული მიმართულებით იგეგმებოდა თუ არა ბაკალავრიატის პროგრამის შემუშავება თუ აღნიშნული მაგისტრატურა გახლდათ რომელიმე აგრარული მეცნიერებების დარგის საბაკალავრო პროგრამის გაგრძელება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, აგრარული მიმართულების ბაკალავრებს, მათ შორის ბიოლოგებს და ქიმიკოსებს შეეძლოთ მაგისტრატურაში ჩაებარებინათ აღნიშნული მიმართულებით. რაც შეეხებოდა დოქტორანტურას, კეთდებოდა მემცნენარეობის მიმართულებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა მცენარეების მოშენების საკითხით და შედიოდა თუ არა მასში ბუნებაში არსებული მცენარეების მოშენება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველო გახლდათ უმდიდრესი უნიკალური გენეტიკური რესურსის ქვეყანა, პარალელურად მიმდინარეობდა ველური მცენარეების შესწავლა დამუშავება და გამოყენება. ხდებოდა მცენარეების კონსერვაციაც ვინაიდან ბევრი მათგანი იყო განადგურების პირას. პროგრამის აქტუალურობა გამომდინარეობდა იქედან რომ განვითარებული ქვეყნები უარს ამბობდნენ ანტიბიოტიკების მოხმარებაზე ბავშვთა კვებაში, ცხოველთა კვებაში და ა.შ. ბუნებაში არსებობდა ისეთი მცენარეები რომელიც შეიცავდა ბუნებრივ ანტიბიოტიკებს. პროგრამის უშუალო და უდიდესი მხარდამჭერი გახლდათ უნივერსიტეტის რექტორი. რაც შეეხებოდა პრაქტიკას, იგი დაყოფილი იქნებოდა სამ ნაწილად რომელშიც შევიდოდა როგორც ლაბორატორიული ისე საველე სამუშაოები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ -

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 18:00 საათზე საბჭოს  
სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ნათელა სახოვია

6-108

მდივანი  
ლევან გორდეზიანი

ლ ზ